№ 113 5 ღვინობისთვე, ქვირა 1866—1875 5 ღვინობისთვე, ქვირა № 113

დროება

გამოდის ყოველ-ორ-კვირ-ში ოთხშაბათობით და პარასკევობით

რედაქცია

ველი მინოვის ქუჩაზე, ალტევ ჩაიგეშტოვის სახლებში.

ხელის მოწერა

რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба“.

გაზეთის ფასი

წელიწადში 8— მან., და ნახევარ წელიწადში— 4 მან. და 50 კაპ., თვეში—1 მან.

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

განცხადება

მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ფრანცუზულს ენებზე.

განცხადების ფასი

დიდი ასოებით, ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით, სტრიქონზე—8 კაპ., ციცერონით, სტრიქ.—5 კაპ., პეტიტით — 4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებსა.

დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო

რა შემოსდის გლეხს მამულიდამ?

I

ჩვენი ქართველი ხალხი დასაწყისიდამვე მიწის მუშაკი ყოფილა; ამას ამტკიცებს სახელი ზიორგია, რომელიც დაარქვეს ბერძნებმა ქართველებს ქრისტეს დაბადების წინ და რომელიც ჰნიშნავს მიწის მუშაკსა. და არამც თუ მიწის მუშაკი ყოფილა ჩვენი ხალხი, არამედ, როგორც ამბობს თეიმურაზ ბატონიშვილი: „თვით მიწის მუშაკობანიც პირველ ყოველთასა შემოღებულ არიან მათგან.“

დღეანდლამდის ჩვენი ხალხი ისევ მიწის მუშაკად დარჩა და მისი საზრდო დამოკიდებულია ისევ მიწის მოსავალზედ, და სხვა რიგად საზრდოს მოპოება, მაგ. ალებ-მიცემობით, ხელოსნობით და სხვ., ჩვენ ხალხში გავრცელებული არ არის.

ამისთანა ქვეყანაში, რასაკვირველია, მამულს უნდა ეჭიროს პირველი ალაგი და უჭირავს კიდეც; ვისაც მამული აქვს, ის როგორც არის კიდევ ცხოვრობს, მაგრამ ვისაც მამული არა აქვს, შენი მტერი იყავ ეს როგორც ის არის: ტანთ-საცმელს იყიდის—ფეხ-საცმელი აღარ აქვს, ფეხსაცმელს იყიდის ტანთ-საცმელი აღარა აქვს და ყელამდინ ვალში და ვახშმიც არის ჩაფლული.

დიახ, მამულზედ არის დამოკიდებული სიმდიდრე და სიღარიბე ჩვენი ქართველი ხალხისა და მაშასადამე მთელის მხარისაც. რაკი ვისმეს ჩვენში, გარეშე მიწის შემუშავებისა, არა აქვს სხვა სახსარი საზრდოს მოპოებისა, ამისათვის ის იძულებულია დაკმაყოფილდეს მიწის მოსავალით და მასში, მხოლოდ მასში ჰხედავდეს წყაროს, დასაწყისს და დასასრულს თავის ბედნიერებისას და კეთილდღეობისას.

მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ ჩვენში ბევრი მუშაკთ არა აქვთ მამული და იძულებულ არიან სხვის მამულზედ მოიყვანონ იმოდენა საზრდო, რომელიც რის ვაი ვაგლახით ჰყოფნით დასაკმაყოფილებლად უპირველესთა თვისთა საჭიროებათა. უმამულო გლეხი ვერ შეინახავს იმოდენა საზრდოს, რომ მოუსავლობის დროს ხელი მოინაცელოს. კარგი საქმე იქნება, რომ გლეხმა სხვის მამულში იმოდენა საზრდო მოიყვანოს, რომ ვალის აუღებლად შეიძლოს თავის თავის და ცოლ-შვილის გამოკვება წლითი-წლობამდე და გაისტუმროს ის გადასახადები, რომელიც მას კისერზედ აწევს. მაშასადამე რა მოელის მოუსავლობის დროს უმამულო გლეხს?— შიმშილი და სიკვდილი.

თუ კი გლეხ-კაცის ცხოვრება მარტო მამულზედ არის დამოკიდებული, როგორ იქნება, რომ იმას მამული არა ჰქონდესო; უმამულო გლეხი ხომ უთოფო სალდათს ეგვანებაო? მკითხავს გლეხ-კაცობის ცხოვრების უცოდინელი მკითხველი. დიახ, ჩემო კეთილო! უბედურობაც ეგ არის, რომ იმის ცხოვრება მხოლოდ მამულზედ არის დამოკიდებული და მამული კი ყველას არა აქვს, და თუ თითო ოროლა დღის მიწა აქვსთ ეს თითქმის ისევ უქონლობას შეედრება, რადგანაც იმითი იმას ცხოვრება არ შეუძლიან.

და რა არის უმამულო გლეხ-კაცი? ის არის უბედური ქმნილება; იმის მდგომარეობა ისეთივეა, როგორც ფრთა შეკვეცილი ჩიტისა და წყალ-მოკლებული თევზისა; სხვა წოდების კაცისათვის მამულის უქონლობა ისე საგრძნობელი არ არის; იმათ უმამულოთაც შეუძლიანთ მოიპოვონ საკმარისი საზრდო ცხოვრებისათვის. სხვასთან მოჯამაგირეთ დადგომით გლეხი იშოვის ნახევარ საზრდოს, თუ კიდევ ნაკლებსაც არა; მეორე ნახევარი საზრდოსი საიდგანღა იშოვოს, თუ რომ იმას არ ექნება მამული? სიღარიბე და სიღატაკე მალე ეწვევა უმამულო გლეხს და ეს დღითი-დღე უფრო და უფრო გაძრიელდება. სიღარიბეს მოაქვს თავისი ჩვეულებრივი მწარე ნაყოფები: გადაგვარება ხალხისა ზნეობით, გონებით და ფიზიკურად.

II

ჩვენ ვსთქვით, რომ ბევრ გლეხებს მამული არა აქვთო.

მართალია, თავად-აზნაურობაც მიწის მოსავალზედ არის დამყარებული, მაგრამ ბევრი მათგანი თვითონ როდი იმუშავებენ მამულს: ისინი უფრო სანახევროდ ამუშავებინებენ გლეხებს.

თუმცა ზოგიერთი თავადიშვილებიც თვითონ მისდევენ ხვნა-თესვას, მაგრამ იმათ იმოდენა მამული აქვსთ, რომ მთლად იმის შემუშავებას ვერ შეიძლებენ და იძულებულ არიან მოახვევინონ მამული გლეხებს სანახევროთ. ვაჭრები ხომ ხელსაც არა ჰკიდებენ ხვნა-თესვას, არამედ ესენიც თავეთ მამულებს აძლევენ გლეხებს სანახევროდ, რადგან, როგორც ანგარიშის კაცთ, კარგად იციან, რომ თვითონ რომ ხვნა-თესვას მიჰყვნენ, ზარალის მეტს ვერას ნახავენ, სანახევროდ კი რომ აძლევენ, მაშინ, მიწის გარდა, ყველა შრომა და ხარჯი, რაც კი უნდა პურის მოყვანას, გლეხისაა და მოსავალი კი სანახევროდ უნდა გაიყონ.

აბა ახლა ავიღოთ გლეხისაგან სანახევროდ შემუშავებული ერთი ღღის ანიულის ნახნავი და გავიგოთ— თუ რა არის გასავალი და რა შემოსავალი.

გასავალი	მან.	კაპ.
მოსახნავად	2	40
ასოშად.	1	80
ოცი კოდი თესლი, კოდი თორმეტ აბაზობაზე	4	80
დასაფარცხად.	1	„
მორწყვა	„	30
მომკა	1	60
ბალეწვა	1	60
სმა და ჭამა მუშების ხვნიდგან დაწყობილი ბალეწამდინ. .	3	„
ერთი მარხილი შეშა და ერთი მუშა უნდა შეაწიოს გლეხმა მიწის პატრონს. . . .	1	„
სულ. .	17	50

შემოსავალი	მან.	კაპ.
რვა კოდი პური, კოდი თორმეტ აბაზობაზე	19	20
ერთი ურემი ბზე	2	„
სულ. .	21	20

ეს შემოსვლიდამ ოთხი კოდის ფასი 9 მან. და 60 კაპ. უნდა მამულის პატრონს მისცეს; მაშასადამე თვითონ დარჩება 12 მან. და 40 კაპ. ცხადად ჰხედავთ, რომ გლეხი ღღიურზე 5 მან. და 10 კაპ. ზარალობს.

ი. ბაქრაძე

(შემდეგი იქნება)

ღღიური

□ „დროებაში“ პირველად გამოცხადებული ამბავი, რომ ლაზისტანში არეულობა არისო, იმ წამსვე ჯერ რუსულ გაზეთებმა და მერმე უცხო ქვეყნის გაზეთებმაც გადაბეჭდეს.

ერთს ბელგიის გაზეთს („Le Nord“) მოსვლია სტამბოლიდამ ოფიციალური ცნობა, რომ „თფილისის გაზეთებში დაბეჭდილი ამბავი, რომ ეითომც ლაზისტანში არეულობა არის, რედიფების გამოწვევის თაობაზე, ნამდვილი ამბავი არ არისო.“

ეს ამბები ისეთი სარწმუნო პირებისაგან მოგვდიოდა და მოგვდის, რომ როგორც ამას წინათ გამოვაცხადეთ, იმის სინამდვილეში ერთ წამსაც არ შეგვიძლიან ეჭვი შევიტანოთ. და ოსმალოს მთავრობა რომ ამ არეულობას უარ-ჰყოფს, — ეს ადვილად გასაგებია: უეჭველია, იმისთვის არც სასარგებლო და არც სასიამოვნოა ქვეყანამ შეიტყოს, ამ ჟამად, რომ, მარტო გერცოგოვინელები და ბოსნიელები კი არა, სხვა ქვეშევრდომი ხალხებიც ემდურიან იმის ბატონობას და სხვაგანაც აცხადებენ სურვილს, რომ იმის სასტიკი მფლობელობებისაგან განთავისუფლდნენ.

□ „მოსკოვის უწყებებში“ დაბეჭდილია პეტერბურღიდან მიღებული დეპეშა, რომელიც გვაცნობებს, რომ ჭუთაისის ვიცე-ღუბერნატორი მალაჩეევი ღუბერნატორად დაინიშნაო.

□ წასული ორშაბათის სხდომაზე ქალაქის ბამგეობამ, ბევრის ბაასისა და მოლაპარაკების შემდეგ, ამოარჩია კომისია, რომელმაც ქალაქში წყლის გაყვანის თაობაზე პროექტი უნდა შეადგინოს. კომისიაში ისეთი პირები ურევია, რომ იმედი გვაქვს, ამ საგანს რიგიანად გამოიკვლევენ და პროექტსაც დროზე წარუდგენენ ბამგეობასა. კომისიის წევრებს შეადგენენ: ა. ფ. ზალცმანი, კ. ქ. მამაცოვი, ი. ი. ავერკიევი, ბ. ს. აბესალამოვი, მ. ი. დოლუხანოვი, ნ. დ. ზუბალოვი და ბ. ი. მევანგულოვი; ამათ კანდიდატებად: ა. ს. მატინოვი და ბ. ს. ხატისოვი.

□ პეტერბურღიდამ გვწერენ, რომ წელს ძალიან ბევრი ახალგაზდა ყმაწვილები მისულან იქ ჩვენი ქვეყნიდამ იმ განზრახვით, რომ ერთ-ერთ უმაღლესს სასწავლებელში შესულიყვნენ და სწავლა დაესრულებინათ; მაგრამ, რადგანაც იქაურ უმაღლესს სასწავლებლებში ვაკანსიების ნაკლებობა არისო, ამის გამო რამდენიმე ყმაწვილი არსად არ მიიღესო და მომავალ წლამდინ ისე დარჩენო...

□ ყუბანის მაზრის სამასწავლებლო სემინარიაში (ლადოჟსკის სტანციაზე) ამ ჟამად, როგორც გვწერენ, სამი ქართველი სწავლობს.

□ ჭუთაისიდამ გვწერენ, რომ ამ უკანასკნელ დროს თითქო ცოტა მომეტებული სიცოცხლე დაეტყო ჩვენს ქალაქსაო; ახლა „სააზნაურო კლუბი“ გაიხსნაო და აქაურებს დიდი იმედი აქვთო, რომ ამ ზამთარში ჩვეულებრივი მოწყენა აღარ იქნებაო, დროს გასატარებელი ადგილი იქნებათო...

□ იმ ექვსი ტუსაღის მოთავე, რომლების გაქცევა ზორის საპყრობილიდამ ამას წინათ ვაცნობეთ მკითხველს, როგორც გვწერენ, სოფლის ცხინვალის მახლობლად მოუკლავთ.

ეს ავაზაკი — ოსი ანდო — ძალიან განთქმული იყო თურმე ჭართლში და ხალხი დაფთხობილი იყო იმისაგან. სადღაც ტყეში შეუმწყვდევიათ, ოთხი ტყვია უკრავთ და ძლივს დაუმორჩილებიათ...

□ ჩვენ შევიტყეთ, რომ გასულ კვირას ყოფილა საზოგადო კრება „თფილისის გამსეხებელ-შემნახველი ამხანაგობის“ წევრთა. კრებას ამოურჩევია მოთავე კაცები, გამგეობა და გადაუწყვეტია თავის ოპერაციების (მოქმედების) დაწყება.

□ გასულ ოთხშაბათს დიდძალი ხალხი მოაწყდა მცხეთას თუ ჭალაქიდამ და თუ ახლო-მახლო სოფლებიდამ. მაგრამ შესანიშნავია, რომ ამ ჭალაქის ახლო სოფლებში სრულებით ძველებური, ჩვენებური ქეიფი და დროს გატარება აღარ იციან. ჯგუფ-ჯგუფად გროვდება ხალხი, ცალ-ცალკე პურსა სჭამს და ღვინოს სომს, და მთელი ქეიფი ამ ჭამითა და სმით თავდება! არც თამაში, არც ბურთი, არც ჯირითი! კარგი კიდევ თუ თითო-ოროლა სოფლელმა გლეხმა ფერხული ჩამოუარა და ქალებმა ზურნის ხმაზე ლეკური ითამაშეს და ან სადმე ჩხუბი გაიმართა, — თვალს სახილველი მაინც ექნება!

მაგრამ უკაცრავად: ამ უკანასკნელს, ე. ი. ჩხუბს წლევანდელს მცხეთობაზე კარგა ბლოშათ ვეღირსეთ. ჯერ ცალ-ცალკე იყო ჩხუბი; მერე ისეთი საზოგადო ჩარეული მუშტი-კრივი და თავ-პირის მტვრევა შეიქნა, რომ ძღლი პატრონს ვეღარა სცნობდა: ვინც ვის წასწვდებოდა, არა ზოგავდა.

ჩხუბის მიზეზი ის იყო, რომ ერთს სოფელს ვიღაც კინტომ ჯიბიდამ ფულები ამოაცალა. სოფელმა ჯიბგირი დაიჭირა და ერთი-ორი ლაზათიანათ უთაქა. კინტოს კინტოები დაეხმარენ, სოფლელებმა სოფლელისთვის გამოიდგეს თავი და ერთი თვალის დახამხამების განმავლობაში თქვენი მოწონებული ტყება შეიქნა და ბოლოს იქამდი მივარდა საქმე, რომ მოჩხუბრებმა ჯერ ჯოხებს მოავლეს ხელი და მერე ქვებით დაუშინეს ერთმანერთსა ასე, რომ დუშეთის უეზდის უფროსს უფ. ზუბალოვს რო არ მოესწრო, ვინ იცის, საქმე რითი გათავდებოდა; იმის მოსვლამდი მხოლოდ ერთ მოქალაქეს მოამტვრიეს ფეხი და ბარე ორ-სამს ადინეს სისხლი...

შთაბეჭდილების მოყვარე ხალხმა ამაზე უკეთესი სურათიც ნახა: სტანციას აქეთ ფაეტონი მოდიოდა, რომელშიაც სომხის ქალები ისხდნენ. ქალებს ჯერ რაღაც გაცხარებული ხელების ქნევა ჰქონდათ; მერე უეცრად ფაეტონი გაჩერდა, თვალის დახამხამების უმალ ფაეტონიდამ გადმოხტა ქალი, მივარდა მეორეს, წაველო თმაში ხელი და ჩამოათრია; აბა სეირი ახლა შეიქნა: ერთი ქალი ლაზათიან მუშტებს იქნევდა, მეორე კი უფრო ქალურ ჩხუბს — დაკოტნას ადგა, ხან ერთი მოიქცეოდა ქვევით და ხან მეორე! სადაა თავსაკრავი, ლეჩაქი, ეაიმე სადღესასწაულო კაბაე! იჰათგან ადენილი მტვერი ზეცას ასდიოდა. იმათ კაბების ნაგლეჯებს მცხეთის პატარა გოგოები ახლაც აგროვებენ! მეფაიტონე ჯერ სეირს უყურებდა, მერე გული რო გაიჯერა და თანაც შეატყო, რომ ხუმრობა აღარ იყო, ჩაეარდა ამ ორ დედაკაცს შუა და როგორც იყო მოაშორა ერთმანეთს...

„დროების“ კორესპონდენცია

შემოქმედი, 27 სექტემბერს

აჭარა ზაფხულში ძლიერ კარგი საქონლის საძოვარი ალაგია. ასე რომ სამი თვის განმავლობაში აქ საქონელი არ შეწუხდება არც უზომოთ სიცხისაგან, არც სიცივისაგან და ძლიერ კარგათაც სუქდება. ამისთვის ზურიის მცხოვრებლები და აქაური თავადების მწყემსები გარეკამენ თავიანთ საქონლებს ამ საბალახოზედ.

ამავე მთაზე, სამხრეთის მხრიდგან, გამორეკენ თავიანთ საქონლებს აჭარლებიც.

ხშირად მომხდარა, რომ აქაურებს აჭარლებისთვის და აჭარლებს აქაურებისთვის საქონელი წაურთმეევიათ და სისხლიც ბევრჯელ დაღვრილა ამისთანა მტაცებლობაში.

აქ საჭიროდ ნახა მთავრობამ, რომ მშვიდობიანობის დასაცველად გაეგზავნათ ყოველ წლობით რამდენიმე კაცი მილიციის ჯარისაგან, რომელთაც უნდა ეყარაულნათ, სადაც საჭირო იქნებოდა. მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, აი რა მოხდა:

ამბობენ, ყველა მილიციონერები რომ თავიანთ დანიშნულებას პატიოსნათ შეასრულებდნენ, არცერთი ხბოქურდობით არც აქეთ და არც იქით არ დაიკარგებაო. მაგრამ მოხდება ისე, რომ აჭარელს დაეკარგება ან ცხენი, ან ხარი (აჭარელს ისეთი ხასიათი აქვს, რომ არ დაივიწყებს კაცის არც ავს და არც კარგ საქმეს! ასე რომ ორ წილად იხდის; წინეთ კი გააფრთხილებს, რომ ესა და ეს საქონელი დამეკარგა და გამომიგზავნეო, თუარა ორ წილად მოელოდეთ გადახდასო.) წამოვა აჭარელი, ეძებს თავის დაკარგულ საქონელს და თუ ვერ ნახა, შეჰკრებს რამდენიმე ახალგაზდა ბიჭებს, დაეცემა ჩვენებს და მიჰყავსთ სამაგიეროთ რამდენიც შეუძლიანთ. ერთი ამისთანა შემთხვევის გამო, წელს, ზაფხულში, დაეცა რამდენიმე აჭარელი ჩვენებურებს და თორმეტამდი ცხენები გარეკეს, ერთი საწყალი მეგრელი, რომლის ერთი ცხენი იყო იმათ რიცხვში, მოჰკლეს და წაიღნენ.

ბავიდა რამდენიმე დღე და ჩამოვიდა მთიდგან ამბავი, რომ ერთი მილიციონერი მოჰკლეს აჭარლებმაო. აი, როგორ მომხდარიყო ეს საქმე: ერთ აჭარელს ხარი დაჰკარგოდა; წამოსულიყო საძებრად და მისულიყო მილიციონერების კარავში საკითხავად. მისვლისათანავე აჭარელს თავისი ხარის თავი, ფეხები და ტყავი ენახა. მილიციონერებმა კი უთხრეს, რომ არ გვინახავსო. აჭარელმა უთხრა: „მიდა, ძაღ, ეს თავ-ფეხი და ტყავი ჩემი ხარის არის და ტყუილად რად ვარობთ? ამისათვის მე ან კაცის სული უნდა ვითხოვო და ან საქონელი; ეს ჩემი ხარი ღირდა, ძაღ, ხუთმეტი მანეთი და იმის გულობისათვის საჯაყ რეიზა მაქნევინებთო“.

მილიციონერებმა ბრძანებით თუ ხელის წაკვრით გააგდეს თურმე აჭარელი, მაგრამ ის მაინც არ მოეშვა. რო შეხედეს, რომ ნებით აჭარელი არ ეშვებოდა, დაიჭირეს, ააკრეს ხეზე და მზის ჩასვლამდი პირ-და-პირ მზეზე ჰყავდათ და რამდენიც უნდოდათ, იმდენი ურტყეს საღამომდი.

საღამოზედ აჭარელმა უთხრა: არაფერს ვიტყვიო არც ხარისთვის და არც ამ შეურაცხყოფისთვისო, ოღონდ გამიშვითო. აჭარელი წავიდა, უთუოდ მოუწოდავისმეს და დაუხვდა მილიციონერებს გზაზედ ვალის გარდასახადათ; რასაკვირველია, ესროლა ერთ მილიციონერს თოფი და თავი თოფ იარაღით საით გადაჰკარგეს, კაცმა იმისი ვერაფერი ვერ გაიგო; მხოლოდ ნახეს, რომ კარგ მანძილზედ ღორივით გაეთრიათ და მერმე აეღოთ და სად დაემალათ — იმისი ჯერაც არაფერი გაუგია კაცს.

ეს აქამდი ასე არის და შემდეგისათვის კი მოველით, რომ ვისგანაც რიგია, ჯეროვან ყურადღებას მიაქცევს ამ საქმეს და ეს მშვიდობიანობის დამცველი საქმე სისხლის ღვრის მიზეზად არ შეიქნება....

შემოქმედელი Ц.

იმერეთის სამღვდელოების ყრილობა *)

სასწავლებლის სამმართველოსაგან შედგენილი სმეტა 1876 წლისა განიხილა ყრილობამ და, გარდა მოსაბზადებელი კლასის 4,700 მანეთის და სხვა კიდევ წვრილმალების ხარჯისა, მიიღო და დასტოვა თანახმად სამმართველოს შედგენილობისა.

თანახმად სასწავლებლის წესდების §68-სა, ყოველ შტატის მასწავლებელს თორმეტი გაკვეთილისათვის 420 მანეთი აქვს დანიშნული; მომეტებული თორმეტი გაკვეთილისა, თვითოეულ გაკვეთილში, ამავე პარაგრაფის შენიშვნით, მასწავლებელს ეძლევა ოცი მანეთი. ამ ფულს ე. ი. 20 მანეთს, შეიძლება, სამღვდელოება თუ საჭიროთ დაინახავს, ანუ შესაძლოთ, მოუმატონ, მაგრამ გარდა სამღვდელოებისა არავის არა აქვს უფლება; მაგრამ ჩვენ სასწავლებელში მასწავლებლებს ეძლევათ ოცდა-ათი მანეთი თითოეული მომეტებული გაკვეთილისათვის და ამით გამოდის ის, რომ ზოგიერთი მასწავლებელი იღებს 610—720 მანეთამდე წელიწადში ჯამაგირს.

ხშირად ყველა ხარჯი არ არის მოყვანილი საშმართველოსაგან შედგენილს სმეტაში და როდესაც ნამეტანი იხარჯება, ძლიერ საწყენათ ურჩებათ ეს სამღვდელოებას.

ამის შემდეგ თავმჯდომარემ სთქვა, რომ მომეტებულ ნაწილს ჩვენგანს არა აქვს გაგებული ძალა ახლანდელი სასწავლებლის წესდებისა, არავინ იცის, თუ როგორ მოამზადოს შვილი, რამდენი წლის რომელ კლასში იქნება მიღებული; ერთი სიტყვით, არ იციან თუ როგორ მოიქცენ შვილის სასწავლებელში მიღებაზე. ამის უცოდინარობით მრავალს დრო მიუდის და შვილი საუკუნოდ უუბედურდება. ზოგს ჰგონია, თუ ისევ ის თავისუფალი ძველი დროის წესები არის და ახლანდელი წესების არა გაეგებათ რა. სხვა სასწავლებლებში ყველგან პატარა წიგნებათ არის ყველა ცნობა გამოცემული და ამით ტყობულობენ ყოველივეს და ურიგო არ იქნება, რომ ამისთანა საჭირო ცნობები პატარა წიგნათ დაიბეჭდოს თქვენივე ხარჯით და მღვდლებს დაურიგდეს.

ამაზე დეპუტატები ყველანი დიდის კმაყოფილებით თანხმანი გახდნენ და სთხოვეს ყოვლად-სამღვდელოს ამისთანა პატარა წიგნის შედგენა სასწავლებლის საშმართველოს დაუდგინოს ფულად და დაურიგდეს მღვდლებს მათი ხარჯით.

ყოველად სამღვდელოს მიართვეს ერთი თხოვნა, რომლის შინაარსი აი რა იყო: ზოგიერთი ახალი სასწავლებლების წესდების პარაგრაფები ყოველად მოუხერხებელია ზოგიერთ ადგილას სხვა და სხვა ადგილობრივი მიზეზებისა გამო. სასწავლებლის წესდების შედგენის დროს, რასაკვირველია, ჩვენ არავის ვეყოლებოდით სახეში. ჩვენთვის ძლიერ საძნელო არის და თითქმის მოუხერხებელი, რომ ჩვენი შვილები თორმეტ წლამდე რუსულ ენის ცოდნაში ისე მოვამზადოთ, როგორც სასწავლებლის წესდება მოითხოვს და პირველ კლასში შევიყვანოთ. ამისათვის ვითხოვთ მორჩილად გვიშუამდგომლოთ, სადაც ჯერ არს, რომ მოგვეცეს ნება, დროებით მაინც, რომ ცამეტი წლის ბავშვი პირველ კლასში შევიყვანოთ ხოლმე; იქნება მთავრობამ მოხედოს ამ ჩვენ გაჭირებას და ეს თხოვნა აღგვისრულოს, რომლითაც მოგვეცემა დიდი შაღავათი.

ამას გარდა დეპუტატებმა სთხოვეს ყოველად სამღვდელოს, რადგან ბლაღოჩინების კენჭის ყრით აირჩევის დრო მოვიდაო, გთხოვეთ ნება მოგვეცით კენჭის ყრისა და იმ წესით როგორც რუსეთის ეპარხიებშიაო.

სხდომის დახურვის დროს თავმჯდომარემ უთხრა დეპუტატებს უკანასკნელი შემდეგი სიტყვა:

„ძლიერ ვსწუხვარ, რომ ერთი ჩვენი ყრილობის განჩინების და გადწყვეტილებისა რამოდენიმე დაპუტატი თქვენგანი თანახმა არ გახდა.

*) უ. რედაქტორო! ეს მესამე ნაწილი დიდი ხანია ფოჩტით გამოვგზავნე თქვენს რედაქციაში, მაგრამ ჰგავს, რომ ფოჩტაში დაუკარგავთ ანუ სხვა ნაირათ მოექცნენ. ეხლა გიგზავნით და თუ ესეც არ გაქრეს ფოჩტაში, გთხოვეთ დაბეჭდოთ. Avt.

ეს უთანხმოება იყო გამოცხადებული მოსამზადებელი კლასების შენახვის თაობაზე იმ მშობლებთაგან, რომლებსაც მასში ბავშვები ჰყავთ. რომელიც მიხვდა კარგად საქმეს და გაიგო, რომ იმაზე გადანარჩენი ფული უკეთეს საქმეს დახმარდება, იმას თუმცა ბავშვი მოსამზადებელი კლასში ჰყავს დღეს და ერთი თუმნის გარდახდა მასაც შეხედება, მაგრამ ის წინააღმდეგი არ გამხდარა. საზოგადოთ თქვენ თითქმის ყველანი ამბობთ, რომ სასწავლებელისათვის ნამეტანი ფულის შეწერა არ შეგვიძლიაო და თუ სხვა ფულს არ გადაიხდიდით, მაშ რითი უნდა ავაშენოთ მოსამზადებელი კლასის ოთახები? თუ ჩვენ ნამეტან ფულს არ შემოვიტანთ, მიუცილებელი იყო, რომ ამისთანა გაღაწყვეტილება შეგვედგინა მოსამზადებელ კლასის შენახვაზე. როდესაც საზოგადო სასარგებლო საქმეზე ელაპარაკობთ, მაშინ ჩვენ კერძო სარგებლობაზე არაფერს არ უნდა ვფიქრობდეთ. ერთმანეთს უნდა ვეწეოდეთ შვილების გამოზდაზე; ძლიერ საწყენია, რომ ზოგიერთი მდიდარი და შეძლებული ღარიბი მღვდლის ფულებით ცდილობს შვილების მომზადებას. ზოგი ჩვენგანი საუბედუროდ, ქართული ენის წერა-კითხვასაც არ ასწავლის თავის შვილს. ასე მოუმზადებლად ჰგზავნის სასწავლებელში, სადაც საწყალ ბოვშეს ოთხი სხვა და სხვა უცხო ენა წელსა სწყვეტს. ამისთანა გაჭირებულ დროში ჩვენ ნამეტნაკად უნდა ვფიქრობდეთ ჩვენი შვილების მომზადებაზე და არა ყოველიფერ საქმეს სხვისი შრომით და იმედით უნდა ვაკეთებდეთ.

„დრო არის ფარისეველური სიტყვის მთქმელებს თავი დავანებოთ და ჩვენს საქმეს ერთგულად და ერთად ხელი მოკიდოთ. ჩვენზე არის დამოკიდებული ჩვენი ხალხის, დღეს მაინც, ზნეობითი და გონებითი აღზრდა. ჩვენ უნდა ვიქმნეთ მათთვის ცხოვრებაში და ყოველიფერ საქმეში მაგალითად. ღმერთსა ვსთხოვ, რომ ჩვენი საქმე, როგორც სასწავლებლის, ეგრეთვე სემინარიის დაარსებისა ქუთაისში კარგარ წასულიყოს; და იმისთანა პირები, რომელნიც ამ ჩვენს კეთილს აზრს არ თანაუგრძნობენ, ღმერთმა მოგვაშოროს.“

ამის შემდეგ დეპუტატები გამოეთხოვენ ერთმანეთს და შინ წავიდნენ. თავსმჯდომარემ ყველა ამ სხდომაზე შემდგარი ჟურნალები ყოველ სამღვდელოს წარუდგინა და იმედი მაქვს ვაცნობო „დროების“ მკითხველებს თავის დროზე.

X

რუსეთი

✱ სახალხო განათლების სამინისტროს განზრახვა ჰქონდა, რომ ყოველ სასოფლო შკოლაში პატარა წიგნის მაღაზიები გაემართა. ახლა ამბობენ, რომ პეტერბურღის ერთი წიგნის ვაჭარი ცდილობსო, რომ ამ საქმის გარიგება იმას მიანდონ და ამისთვის შკოლების სასარგებლოთ წიგნების შეწირვას ჰპირდებაო.

✱ ერთს რუსულ გაზეთს გაუგონია, რომ მმართებლობას განზრახვა აქვსო, რომ ცალკე კომისია შეადგინოს, რომელმანც უნდა გადახედოს ახლანდელი წესდება შესახებ სასოფლო პურის მაღაზიებისა და ამის თაობაზე ახალი წესდება გამოსცესო.

✱ ეაი ხანია, რაც პეტერბურღში დაარსდა საზოგადოება, რომელიც ზრუნავს, რომ მასწავლებელ და ყმაწვილების აღმზრდელ ქალებსა ადგილები უშოვნოს. ამ საზოგადოებას გაუხსნია ახლა თავის ხარჯით ისეთი სასწავლებელი, რომელშიაც ქალები და ვაჟები ერთად ისწავლიან მასწავლებელ-ქალების ხელმძღვანელობით.

✱ უმაღლესი მმართებლობის ბრძანებით, პეტერბურღში შემდგარა კომისია, რომლის თავს-მჯდომარეთ სტატს-სეკრეტარი ვალუევია დანიშნული და რომლის მოვალეობა ის იქნება რომ ღონის-ძიება მონახოს რუსეთის ქალაქებსა და სოფლებში ცეცხლისაგან ზიანის მოსასპობელად.

✱ ამას წინათ გადამწვარის ქალაქის მარშანსკის სასარგებლოთ, როგორც ოფიციალურს გაზეთში აცხადებენ, რუსეთში 117,867 მანეთი და 9½ კაპეიკი მოგროვებულა.

უცხო ქვეყნები

ბერლინი. ბერლინიდან 1 ნოემბერსა.

აჯანყებულების მოსარიგებლად გაგზავნილ ელჩებიდამ ორის სახელმწიფოს წარმომადგენელნი (ინგლისისა და იტალიისა) წამოსულან ბერლინიდამ, რადგან დარწმუნებულან, რომ ჩვენ აქ ვერას გავარიგებთო. დანარჩენი ოთხი სახელმწიფოს (რუსეთის, ბერმანიის, საფრანგეთისა და ავსტრიის) ჯერ კიდევ მასტარში არიან და იმედი აქვთ, რომ როგორმე მოარიგებენ ოსმალეთთან აჯანყებულებსა და ამ შფოთს მოსპობენ.

ოსმალოს მმართებლობამ გამოსცა ფირმანი, რომლის ძალითაც ზოგიერთი გადასახადი, რომელსაც ყველაზე უფრო უჩივოდა ბერლინიდან და ბოსნიის ხალხი, სამუდამოთ მოისპობა და სხვა ცვლილებაც მოხდება ამ ქვეყნებში. ზემოხსენებული ევროპის სახელმწიფოების წარმომადგენელთ დიდი იმედი ჰქონდათ, რომ ამ ფირმნის გამოცხადება დაამშვიდებს განდგომილებსაო; მაგრამ, როგორც სჩანს, შემცდარან: თან-და-თან ძლიერდება და ცხარდება ახლა აჯანყებულების უკმაყოფილება და ბრძოლა.

იმ დიდს ბრძოლაზე, რომელიც ქლეკის პორტთან მომხდარა სექტემბრის დაბლეეს, ერთს გერმანიულ გაზეთში, სხვათა შორის, იწერებიან, რომ როცა ლიუბობრატოვიჩმა შეიტყოო, რომ თათრის ჯარი ამ ნავსადგურში გამოსულაო, იმ წამსვე 2,400 კაცით გაემართა იქითკენ და თავს დაეცაო. დერვერ-ფაშას 3,500 კაცი ჰყავნდაო; როცა გაცხარებული ომი შეიქნა და თათრები გაქცევას აპირებდნენ, ამ დროს იმათ 1,600 კაცი ახალი ჯარი მოეხმარაო კიდევ და ამნაირად განდგომილები იძულებული შეიქნენ, რომ ბრძოლა შეეჩერებინათ. ამ ომში ორივე მხრით ძალიან ბევრი დახოცილა.

ერთს რუსულს გაზეთში (Русскій Міръ)-ში დაბეჭდილია ცეტინიედამ (ჩერნოგორიიდამ) მიღებული დეპეშა, რომელიც შემდეგ ამბებს გვაცნობობს:

„ლაზარე სოჩიცა, ბაგდან ზიმონიჩი და ვულე ხაჯიჩ 1100 კაცით დაეცნენ პლანთან ოსმალოს ჯარს და დაამარცხეს; თათრების მხრით 170 კაცი დაიხოცა და განდგომილებისა — 13. 18 სექტემბერს თათრის ჯარი გამოვიდა ტრებინიეს სიმაგრიდამ და ზუბცასთან დაეცნენ აჯანყებულებს; მაგრამ ჩვენებმა დაამაცხეს და უკუ აქციეს.

„არეულობა თან-და-თან ძლიერდება. ხალხი აღტაცებით ებრძვის საზოგადო მტერს.

ესპანია. გამოვიდა კოროლის დეკრეტი, რომლის ძალითაც ქონგრესის დეპუტატებისათვის ამოსარჩეველად სიები უნდა შეადგინონ. როგორც ამას წინათაც აცხადებდნენ, ქონგრესი უეჭველად ამ წლის დამლევამდი შეიკრიბება და მერე ჩვეულებრივი კონსტიტუციური წესი დაიწყება ესპანიის გამგეობისა.

ამ ერთი თვის განმავლობაში ლენერალი ქესადა 80,000 ჯარით უნდა წავიდეს ესპანიის იმ მხარეების საბოლოოთ დასამშვიდებელად, რომელნიც ჯერაც არ დაწყნარებულან, რადგან იქ კარლისტები არიან და აღშფოთებენ ხალხსა.

ქრონიკა

45

ფარნავაზისაგან შემოღებული მწერლობა და მეფეების სიმდიდრე

—

წიგნობრობის საქმეს რომ მორჩა ფარნავაზი, მერმე შეუდგა თავის საკუთარს საქმეს. იმას უნდოდა თავისი გვარის სამუდამოდ დამტკიცება საქართველოს სამეფო ტახტზე. ამისათვის ის გაუნათესავდა საქართველოს ძლიერს პირებს. რადგან საქართველოს განთავისუფლებაში შემწეობა მისცეს ფარნავაზს ოსებმა, ლეკებმა და ჩერქეზებმა, ამისათვის იმან ერთი თავისი და მიათხოვა ოსეთის ერისთავს, მეორე იმერეთისას ჭუჯის; თვითონ კი ცოლად შეირთო ჩერქეზეთის მფლობელის ასული.

ქართველებმა რომ ნახეს ასრეთი მშვენიერი წესდებაები, როგორც ამბობს თეიმურაზ ბატონიშვილი, ასრე სთქვეს: ვნატრით სვესა ჩვენსა, რომელ მოგვეცა ჩვენ მეფე ნათესავისაგან მამათა ჩვენთასა და აგვხადა ხარკი და ჭირი უცხოთა ნათესავთაგან.“

ასრე ამ სახით მოაწყო ფარნავაზმა ყველაფერი, დაჯდა ტაფულ-მცხეთაში და შეადგინა თავის-სეფე-ხალის შტატი იმ რიგზე, რა რიგზედაც ის იყო მოწყობილი სპარსეთში. მაგრამ ამაზე ვიტყვით სხვა დროს. აქ მხოლოდ კიდევ იმას ვიტყვით, რომ სამეფო სახლს ამ დროს დიდი შემოსავალი ჰქონდა. ეი რას ამბობს ბარათაშვილი თავის ისტორიის მე-49 გვერდზედ: „საქართველოს სამეფო სახლს, როგორც ჰსჩანს, ამ დროს დიდი სიმდიდრე ჰქონდა. იმის მდგომარეობაზე მარტო შენობაებით მსჯელობა არ შეიძლება. მარტო ფარნაჯომმა, როცა ის გაიქცა პონტში, გაიტანა საქართველოდგან ისრეთი სიმდიდრე უძვირფასესი ნივთებისა, რომ ათ წლის ამაო ბრძოლის განმავალობაში, რომელიც იმას ჰქონდა არშაკთან, მუდამ დაქირავებული ჯარები ჰყვანდა. მეფეების სიმდიდრეს შეადგენდა ევროპიისა და ინდოეთური ხელობის ძვირფასი რკინეულება და ქვები, ფული და სახლში განცხრომითი საცხოვრებელი ნივთები. ამ დროს ქართული მანეთი იწოდებოდა ხვასტანგად და შეადგენდა ერთი ცხვრის ფასს. ჩვენი საუკუნის ნუმიზმატების სიტყვით, მრავალს მუზეუმებში ახლაც იპოვებიან რამოდენიმე მარცვალი ამ ძველებური საქართველოს მანეთებისა. თუმცა საქართველოს ნიადაგი ძლიერ ნაყოფის მომცემია, და ის შეიძლებდა გამოულეველ სიმდიდრის წყაროდ ყოფნას, მაგრამ თუ ქართველი ხალხის სიზარმაცეს (?) მივიღებთ მხედველობაში, უნდა ვიფიქროთ, რომ საფუძველი ამ სიმდიდრისა იყო ბაჟი, რომელსაც ისინი იღებდნენ იმისთვის, რომ იმათ მიწა-წყალზე ვაჭრები ატარებდნენ საქონელს ევროპიდგან ინდოეთში, ინდოეთიდგან ევროპაში. ისიც კი რომ მივიღოთ მხედველობაში, რომ ძველებური ხალხების ვაჭრობისათვის მისვლა-მოსვლის გზა მარტო საქართველო არ იყო, მაშინაც კი, როგორც გვარწმუნებს, პლინი, რომი ყოველ წლივ სავაჭრო საქონლის ბაჟად ას მილიონ სესტერციას გზავნიდა შორაპანში, და ამ ქალაქიდგან სავაჭრო საქონელი მიჰქონდა. მაშასადამე ფარნავაზის უწინარეს, შორაპანის აშენებამდე, და იმ დრომდე, რომელზედაც აქ პლინი ლაპარაკობს, შემოსავალი ქართველების მეფეებისა უფრო მეტი ყოფილა. აუარებელი სიმდიდრე, რომელიც ფარნავაზმა უეცრად აღმოაჩინა გამოქვაბილში, გვაძლევენ მიზეზს ვიფიქროთ, რომ ისინი იყვნენ შეკრებილნი იმისიენ მამაპაპისაგან და იყო დამალული ალექსანდრე მაკედონელისაგან აზიაში მოხდენილ არეულობის დროს, და არ შეიძლება, რომ არ სცოდნოდა ეს სიმდიდრე ფარნავაზის დედას, საიდუმლოდ იმის ქვაბიდგან გამოზიდვის მონაწილეს. აქედგან შეიძლება ვიფიქროთ აგრეთვე ერისთავებისა და ხალხის სიმდიდრეზედაც, რომელიც (ხალხი) არასოდეს არ უყურებდა ისრე მონურად თავის მე-

ფეებს, როგორც აზიის სხვა ხალხები, უპატრონო სხეერპლები თავისი მაწვალებლებისა.“

ფარნავაზმა 65 წელიწადი იმეფა.

Ინგილო ჯანაშვილი

საგაასრ

პასუხი ქახის ადრინდელ მასწავლებელს

—

(დასასრული)

მე ვამბობდი: „სწავლის ცუდად წაყვანის მიზეზი ის იყო, რომ, როგორც ამბობენ, ადრინდელი მასწავლებლები უფრო ხშირად ქეიფებში, საჩივარში და ქიშპობაში ატარებდნენ თავიანთ სიცოცხლეს. იმათ შკოლის საქმე ფეხებზე ეკიდათ, იმათი საქმე ბეგებთან ქეიფი იყო და ქეიფისათვის ხალხში მათხოვრობა.“

ამ მუხლშიაც თქვენ მე მეთანხმებით. თქვენ ამბობთ:

„მართალია, ოთხის წლის განმავლობაში, ორჯერ თუ სამჯერ წასულა ჩემი საჩივარი იქაურს ოლქის მთავრობასთან ქახის ნაიბსა და მამასახლისზე..... რაც შეეხება ბეგებთან ქეიფებსა, მართალია, დავდიოდი ამათთან სანადიროდ და სხვა ამგვარ დროს გატარებისათვის, მხოლოდ მაშინ, როდესაც სასწავლებლის საქმე არ აღსრულდებოდა და მე თავისუფალი დროა მქონდა.“

თუ კი თქვენ საჩივრები გქონიათ ნაიბსა და მამასახლისზე იმისათვის, რომ ისინი თქვენ შუაში არ გაძლევდნენ და რადგან სასწავლებლის საქმე არ გისრულდებოდა, ამისათვის თქვენც შკოლას თავს ანებებდით და „დადიოდი სანადიროდ და სხვა ამგვარ დროს გატარებისათვის,“ მაშ რალაზედა მეჩდურით და კრიტიკას მიწერთ, თუ კი ისრე ყოფილა საქმე, როგორც მე ვამბობ? ის უძვირფასესი დრო, რომელიც უნდა მოგეხმარნათ „ტყაპუჭიან ინგილოების“ შვილების სასარგებლოდ ასრე გილუპავსთ, მაშ რომელს მუხლშ. მეცილებით და არ მეთანხმებით?

ეი ამ თქვენის სეირნობისა გამო, მე ვამბობდი, რომ ქახის შკოლიდან ჯერ არცერთი ინგილოს შვილი არ გამოსულა, რომ შეეძლოს ან რუსული და ან ქართული წერა. ამაზე მეტი აბა რა ვსთქვი, რომ ასრე გაცხარებულხართ და შარიგებთ, რომ არ შემშვენის - ცილის-წამება და ამ გვარების ჯღაბნა? ზანა სიმართლის თქმა არ შემფერის? ზანა სიმართლის თქმა ჯღაბნაა?

მრთს ალაგას თქვენ ამბობთ: „ხომ კარგად იცით ინგილოს ხალხი როგორი მამაცია ყოველ. გვარ საჩივარზე.“

კარგად ვიცი, რომ ისრე არ არის დახელოვნებული საჩივრებში, როგორც თქვენ, სამჯერ ნაიბსა და მამასახლისზე მოჩივარი.

ინგილოები დახელოვნებულნი რომ ყოფილიყვნენ საჩივრებში, მაშინ იმ ათზე იჩივლებდნენ, რომელთაც წლეულს, როგორც ამბობენ, გაუთხოვარი ქალბ მოატაცენინეს ქახში, ეი ამ გვარი ხასიათისა გამო თქვენზედაც ვერ უჩივლნიათ, თორემ, მერწმუნეთ საჩივარს საგანს კი ბევრს იშოვნიდნენ ჩვენს მოცილეს ცხოვრებაში. მაგრამ ამასაც ახლა თავი დავანებოთ, რადგან მე მსურს ამ გვარს იმათ ხასიათზე საკუთარს სტატიაში გამოველაპარაკო საზოგადოებას და დავარწმუნო, რომ სტყუით.

ჩემს კორრესპონდენციაში მე ვამბობდი: „68 მოსწავლედ მყოფ ყმაწვილებში, რომელთაც ვიცოდეს სწავლა შეუსრულებიათ, არც ერთმა წერა-კითხვა არ არის.“

ამაზე თქვენ მიპასუხეთ: „ის ყმაწვილები, რომელთაც, თქვენი სიტყვით, სწავლა შეუსრულებიათ, არ არიან სწავლა შესრულებულნი: ზოგს იმათგანს უსწავლიათ შკოლაში სამი-ოთხი თვე, ზოგს ერთი წელიწადი, ზოგს კიდევ წელიწად-ნახევარი და შემდეგ სხვა და სხვა შინაურულის მიზეზებისაგამო, სწავლისათვის თავი დაუნებებიათ.“

იმდენი მოსაზრება როგორ არა გაქვსთ, რომ ვერ აგიწონიათ ნათქვამი. ჩემს სიტყვებში მოხსენებული სიტყვები „ეი თ ო მ ც კ ა ს ი ს შ ე უ ს რ უ ლ ე ბ ი ა თ“ განა იმას არ ამტკიცებენ, რომ ქახის შკოლაში არც ერთს ჯერ სწავლა არ შეუსრულებიაო. ეი ამის დასამტკიცებელი ჩემივე სიტყვები: „ადრინდელი მასწავლებლის უვარგისობისა გამო აქამდე არც ერთი ყმაწვილი არ არის ქახში ამ შკოლიდგან გამოსული...“ ეს თქვენცა გრწამთ ეს მტკიცდება მით რომ ჩემს სიტყვებში თქვენ ერთმანერთის წინააღმდეგ მოლექსეობას ვერ ხედავთ.

მაგრამ თქვენს სიტყვებში უფრო სხვა რამე არის შესანიშნავი: „სწავლა არ შეუსრულებიათ.“ — რატომ? „სხვა და სხვა შინაურულის მიზეზების გამო სწავლისათვის თავი დაუნებებიათო,“ ამბობთ. ეს შინაურული მიზეზები იმაში ხომ არა მდგომარეობდა, რომ თქვენ არას აწავლიდით და ბოვშებს მუშაობასაც აცდენდით? სწორედ ეს არის ნამდვილი მიზეზი მოსწავლეებისაგან სწავლისათვის თავდანებებისა. ეი ამის დამამტკიცებელი ფაქტი: ხუთმეტამდე თქვენს ხელში ლეკის ბეგების ყმაწვილები სწავლობდნენ და რადგან იმათ ვერაფერი ვერ ასწავლეთ თქვენის ახალის მეთოდით, ამისათვის მოკლედგან გამოვიდნენ. ამ მიზეზითვე გამოვიდნენ ინგილოების შვილებიცა, როგორც მაგ. ჩემი ბიძაშვილი, და არა იმისათვის, რომ „ხელ-მარტო მამებს ხვნა-თესვაში მიეშველნენ, რადგან უიმათოდ მამები საქმეებს ვერ ასდიოდენ“. მაგრამ თუნდ რომ ასრეც ყოფილიყო, მაინც ვერ გაგამართლებთ, ამისათვის რომ თუ კი მარტო ხელი მამა თავის შვილს გაძლევედათ და „ზოგს იმათგანს უსწავლიათ შკოლაში სამი-ოთხი თვე, ზოგს ერთი წელიწადი, ზოგს კიდევ წელიწად-ნახევარი,“ ჩანს, რომ სწავლის სურვილი ჰქონიათ; მაგრამ ნახეს, რომ არას ასწავლიან, დრო კი უბრალოთ გადის და იმათ სურვილი არ უსრულდებათ, გამოიყვანეს შვილები და შეაბეს თავისთან მუშაობაში.

ამაებს რომ იტყვის ქახის შკოლის ადრინდელი მასწავლებელი, მერმე დიდის სიამოვნებით ასრულებს: „ერთი მათგანი ოლქის მთავრობამ ჩემის თხოვნით, ყვავილის ამცრელად გააბწესა.“ მერე რაო? რა გინდათ ახლა ამითა სთქვათ? ყვავილის ამცრელად რომ გაამწესეს, ჯანა ამითი იმისი წერა-კითხვა მტკიცდება? ყვავილის ამცრელად მაზრაში იმისთანაებს ამწესებენ, რომელთაც არც წერა და არც კითხვა არ იციან.

„ახალი მეთოდით წერა-კითხვას ყმაწვილები ორ თვეზე და კიდევ უფრო ადრე სწავლობენ;“ — მაშ რატომ არ იციან წერა-კითხვა, რომელთაც „უსწავლიათ შკოლაში წელიწად-ნახევარი.“ აბა თუ მე ამაში ვსტყუი, გამომიგზავნე ამისთანა მოსწავლეების წერილები.

დასასრულს დასკვნაში უნდა გითხრათ, ჩემო პატიოსანო ადამიანო, რომ კრიტიკის წერაში საეარჯიშოდ ვერ ამოგირჩევიათ რიგიანი ნიადაგი, როგორც პირველად ლიტერატურის ასპარეზზე გამოსულსა.... და ჩვენ გულით გირჩევთ:

„Для прогулокъ
Подальше выбрать закоулокъ.“

Ინგილო ჯანაშვილი

განცხადებანი

თფილისის სამკურნალო

(4 აპრილის სახსოვრად)

ერევნის მოედანზე, ჩიტახოვის სახლებში.

ავთმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დილის 9 საათიდამ ნაშუადღევის 1 საათამდინ.

ორშაბათს: ექიმი ტელიაფუსი — ქალისა და ყმაწვილების ავთმყოფობისათვის, ბარალეევიჩი და ლისიცეევი — შინაგანი ავთყოფობისათვის.

სამშაბათს: ვერმიშევი და მარკაროვი — შინაგანი ავთმყოფობისათვის.

ოთხშაბათს: ლისიცეევი — შინაგანი ავთმყოფ., მაკოვსკი — ვენერიული ავთმყოფობისათვის.

ხუთშაბათს: ბრაბოვსკი — ხირურგიული ავთმყოფ., ტელიაფუსი — ქალებისა და ყმაწვილების ავთმყოფ. და ვერმიშევი — შინაგანი ავთმყოფობისათვის.

პარასკევს: ლისიცეევი და მარკაროვი — შინაგანი ავთმყოფობისათვის.

შაბათს: ვერმიშევი — შინაგანი ავთმყოფ. და მაკოვსკი — ვენერიული ავთმყოფობისათვის.

ისყიდება

თფილისში ექვთიმე ხელაძის სტამბაში, ზანოვის ქუჩაზე, ბებუთოვის სახლში:

საყმაწვილო კონა

ირველ-დაწყებითი მოთხრობებისა,
ბუნების მეცნიერებიდამ
შედგენილი იაკობ ბოგდანოვისაგან
გამოცემული სტ. ზარფოვისაგან
ფასი ხუთი შაური

დაიბეჭდა და ისყიდება
თამარ საჭართველოს
ბატონიშვილის
ისტორიული რომანი
ბ. რჩეულოვისა.
თფილისში: მელიქიშვილის და ამხ. სტამბაში და მენფიანცის წიგნის მაღაზიაში.
ფასი ყველგან ექვსი შაური.

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
თფილისი .	9	36	4	54				
მცხეთა. . .	—	—	—	—	-	68	-	38
ბორი . .	12	21	8	41	2	40	1	23
ხაშური . .	2	—	11	10	3	92	2	18
ბეჟათუბანი	—	—			4	42	2	46
ყვირილა .	—	—			5	81	3	23
ქუთაისი. .	8	23			6	75	3	75
სამტრედია .	—	—			7	73	4	29
ახ.-სენაკი .	—	—			8	57	4	76
ფოთი. . .	11	44			9	75	5	42
ფოთი . .	8	40						
ახ.-სენაკი.	—	—			1	18	-	66
სამტრედია.	—	—			2	6	1	14
ქუთაისი .	11	51			3	4	1	69
ყვირილა. .	—	—			3	98	2	21
ბეჟათუბანი	—	—	ღამე		5	33	2	96
ხაშური . .	5	41	1	6	5	84	3	24
ბორი . .	7	23	3	6	7	36	4	9
მცხეთა . .	—	—			9	8	5	4
თფილისი .	10	16	7	24	9	75	5	42

ცეცხლის გემები

ა) ფოთიდამ:

ორშ.-დესისკენ — ორშაბ. დილის 8 საათ.
სტამბოლს — კვირაობით დილას.

ბ) სოხუმიდამ:

ფოთს — სამშაბათს, ღამით.
ორ-დესას — კვირას, ვათენებისას.

ფოთიდამ:	I		II		III	
სოხუმამდი .	4	„	3	„	1	„
ქერჩამდი. .	20	50	15	50	5	„
ტაგანროგ.	34	„	27	„	8	60
ოდესამდი.	38	„	30	„	9	60

ტელეგრაფი

ორი სიტყვა თფილისიდამ:	მ.	კაპ
ქუთაისს, ფოთს . .	1	—
ბორს, დუშეთს, სილნახს		50
როსტოვს ოდესას მოსკოვს	2	—
პეტერბურგს, ვარშავას . .	2	—
ოსმალეთში, შვეიცარიაში	3	—
იტალიაში და საფრანგეთში.	3	50
ინგლისში.	3	75

ფოსტა

ა) თ ფ ი ლ ი ს ი დ ა მ:

სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს — ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ოთხშ., ოზურგეთს — პარასკ და ორშაბ. ბაქოს — ორშ. სამშაფ. და შაბ. ქახეთს — სამშ. და შაბ.

ბ) ქ უ თ ა ი ს ი დ ა მ:

თფილისისა და ფოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს — ორშ. და პარასკ. ზუგდიდს — ოთხშაბ.

გ) ბ ო რ ი დ ა მ.

ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

დ) ფ ო თ ი დ ა მ:

ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:	კაპ
ლია წიგნის	4
დაბეჭდილის (სამი მისხალი) .	8

ბირჟა

	მან.	კაპ
პეტერბურგი, 3 ღვინობ.		
ერთი მანეთი ღირს:		
ლონდონში $33^1/_8$ პენსი.	—	84
პარიეში $339^1/_2$ სანტიმი.	—	89
ესკონტი (სარგებლისფასი)	6	—
ბანკის ბილეთი 5%	99	50
მოგებიანი (პირველისესხი)	237	50
მოგებიანი (მეორე სესხი)	231	—
ბირაოს ფურცლები:		
თფილ. საზნ. ბანკისა.	93	--
ხერსონის ბანკის ($5^1/_2$)	88	75
მოსკოვის (5%). . . .	86	50
ა ქ ც ი ე ბ ი:		
ოდესის სავაჭრო ბანკის	193	—
ფოთი-თფილ. რკინ. გზის	139	50
შავიზღვის ცეცხ. გემების	560	—
კავკაზის და მერკურის. .	168	—
პირვ. საზღვეო. სახოგ.	665	—
პეტერბ. საზღვეო. საზ.	263	—
მოსკოვის საზღვეო. საზ.	257	65

მაზანდა

	მან	კაპ
თფილისი, 4 ღვინობ.		
პური შორაგალის ფთ.	1	5
ქერი ფუთი. . . .	—	60
ბამბა ერევნისა, ფუთი .	5	20
— ამერიკისა, ფუთი. .	—	--
ბაპენტილი ბამბა ფთ.	8	—
მატყლი თუშური ფთ .	7	80
— თარაქამისა ფთ. .	4	50
აბრეშუმი ნუხური გრ.	2	60
ქონი, ფუთი. . .	4	—
ქონის სანთელი ფუთი.	5	60
სტეარინის სანთელი, ფ.	10	20
ხორცი ძროხისა, ლიტ.	—	45
— ცხვრისა, ლიტრა. .	—	54
სპირტი, ვედრო. . .	6	60
შაქარი, ბროც. ფუთი .	8	15
— ფხვნილი ფუთი . .	6	80
ყავა გრგვალი ფუთი .	18	50
ზეთი ქუნჯუთისა ფთ.	6	—
ოქრო $^1/_2$ იმპერიალი. .	5	88

Дозволено цензурою. Тифлисъ, 5 Октября 1875 г. Типографія Меликова и К°. გამომცემელი ს. მელიქიშვილი რედაქტორი ს. მესხი.